საქართველოს პარლამენტი

2026 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის იანვარ-მარტის შესრულების შესახებ ოპერატიული ინფორმაციის

მიმოხილვა

საქართველოს პარლამენტის
საბიუჯეტო ოფისი

2026
აპრილი

ძირითადი მაჩვენებლები (მლნ ლარი)

შემოსულობები - 7,798.8 მლნ ლარი	100.5% 3 თვის გეგმის	25.4% წლიური გეგმის
გადასახდელები - 7,232.1 მლნ ლარი	91.5% 3 თვის გეგმის	23.4% წლიური გეგმის

ნაშთის ცვლილება 566.8 მლნ ლარი	საოპერაციო სალდო 690.7 მლნ ლარი	მთლიანი სალდო 232.3 მლნ ლარი

შემოსულობების და გადასახდელების კომპონენტები





გადასახადების სტრუქტურა



ხარჯების სტრუქტურა



სახელმწიფო ბიუჯეტის ძირითადი მაჩვენებლები

2026 წლის იანვარ-მარტში სახელმწიფო ბიუჯეტის **შემოსულობები** 7,798.8 მლნ ლარს, წლიური გეგმის (30,759.4 მლნ ლარი) 25.4%-ს და 3 თვის გეგმის[1] (7,757.1 მლნ ლარი) 100.5%-ს შეადგენს, წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელს კი 1,147.7 მლნ ლარით (17.3%-ით) აღემატება (ძირითადად, ვალდებულებების ზრდის[2] კომპონენტის მნიშვნელოვანი მატების გავლენით).

2026 წლის 3 თვეში **გადასახდელები** 7,232.1 მლნ ლარს, წლიური გეგმის (30,881.4 მლნ ლარი) 23.4%-ს და 3 თვის გეგმის (7,903.2 მლნ ლარი) 91.5%-ს აღწევს, ხოლო წინა წლის 3 თვის მაჩვენებელს 838.1 მლნ ლარით (13.1%-ით) აჭარბებს (ძირითადად, ვალდებულებების კლების კომპონენტის მნიშვნელოვანი მატების გავლენით).





შემოსულობების კომპონენტებს რაც შეეხება, 3 თვის გეგმის შესრულების მხრივ, შემოსავლები, არაფინანსური აქტივებისა და ფინანსური აქტივების კლების მუხლებით შემოსულობები გადაჭარბებით გამოირჩევა და შესაბამისად, 101.6%-ს, 163.9%-ს და 115.8%-ს შეადგენს, ვალდებულებების ზრდის მუხლით შემოსულობები კი 95.0%-ს აღწევს.

გადასახდელების კომპონენტებთან დაკავშირებით - ხარჯები 3 თვის გეგმის 92.6%-ს შეადგენს, არაფინანსური და ფინანსური აქტივების ზრდის მუხლებით გადასახდელებს კვარტალური გეგმის შესრულების შედარებით დაბალი მაჩვენებელები აქვს (შესაბამისად, 74.6% და 46.3%), ვალდებულებების კლების მუხლით გადასახდელები კი 97.8%-ს აღწევს.





[1] 3 თვის გეგმა წარმოდგენილია 2026 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის კვარტალური განწერის მიხედვით (ფინანსთა სამინისტროს 2026 წლის 29 იანვრის №30 ბრძანება).

[2] ვალდებულებების ზრდისა და კლების კომპონენტების მაღალი მაჩვენებლები 2026 წელს დასაფარ ევრობონდებთან დაკავშირებულ ოპერაციებს უკავშირდება, კერძოდ, 2021 წელს გამოშვებული ევრობონდების რეფინანსირებისათვის, 2026 წლის იანვარ-მარტში 1,331.9 მლნ ლარით ვალდებულებების ზრდის შედეგად, 1,059.7 მლნ ლარი ევრობონდების დასაფარად მიიმართა.

სახელმწიფო ბიუჯეტის ნაშთი წლის დასაწყისისათვის 1,465.7 მლნ ლარს გაუტოლდა. 3 თვის შემოსულობებისა და გადასახდელების გათვალისწინებით, ნაშთის დაგროვებამ 566.8 მლნ ლარი შეადგინა და 2026 წლის 1 აპრილისთვის სახელმწიფო ბიუჯეტის ნაშთი 2,032.5 მლნ ლარის ოდენობით განისაზღვრა.



2026 წლის იანვარ-მარტში, სახელმწიფო ბიუჯეტის **საოპერაციო სალდო** 690.7 მლნ ლარს გაუტოლდა, ხოლო **მთლიანმა სალდომ** 232.3 მლნ ლარი შეადგინა.



გადასახადების სახით, იანვარ-მარტში, 5,593.6 მლნ ლარია მობილიზებული, რაც 3 თვის გეგმის 100.5%-ს და წლიური გეგმის 24.1%-ს შეადგენს. ყველა სახის გადასახადის 3 თვის გეგმის შესრულების მაჩვენებელი გადაჭარბებით გამოირჩევა და 102.0% - 117.9%-ის ფარგლებში მერყეობს. რაც შეეხება სხვა გადასახადს, 3 თვეში 20.0 მლნ ლარია დაგეგმილი, ფაქტობრივად კი -190.9 მლნ ლარს შეადგენს. 2025 წელთან შედარებით, გადასახადები 165.1 მლნ ლარით (3.0%-ით) გაზრდილია, ერთი მხრივ, ყველა სახის გადასახადის (ძირითადად, საშემოსავლო, მოგებისა და დამატებული ღირებულების გადასახადების) მატებისა და მეორე მხრივ, სხვა გადასახადის შემცირების გავლენით.



ხარჯების მოცულობამ 3 თვეში 5,292.4 მლნ ლარი, 3 თვის გეგმის 92.6% და წლიური გეგმის 22.7% შეადგინა. 3 თვის გეგმის შესრულების მხრივ, სოციალური უზრუნველყოფის ხარჯები ყველაზე მაღალი მაჩვენებლით (99.8%) გამოირჩევა, პროცენტის, სუბსიდიებისა და შრომის ანაზღაურების მუხლებით ხარჯები, შესაბამისად, 97.4%-ს, 95.4%-ს და 94.4%-ს შეადგენს. დანარჩენი სახის ხარჯები კი დაბალი მაჩვენებლებით ხასიათდება. წინა წელთან შედარებით, ხარჯები 38.1 მლნ ლარით (0.7%-ით) გაზრდილია, ერთი მხრივ, სხვა ხარჯების და გრანტების მნიშვნელოვანი შემცირებისა და მეორე მხრივ, დანარჩენი (ძირითადად, სოციალური უზრუნველყოფის) ხარჯების მატების გავლენით.



დანართი 1: სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსულობები, გადასახდელები და ნაშთის ცვლილება (მლნ ლარი)

დასახელება	2025 წლის 3 თვის ფაქტი	2026 წლის წლიური გეგმა	2026 წლის 3 თვის გეგმა*	2026 წლის 3 თვის ფაქტი	3 თვის გეგმის შესრულების %	წლიური გეგმის შესრულების %	%-ული ცვლილება წინა წლის 3 თვის ფაქტთან
შემოსულობები	**6,651.1**	**30,759.4**	**7,757.1**	**7,798.8**	**100.5%**	**25.4%**	**17.3%**
შემოსავლები	**5,700.4**	**24,996.3**	**5,889.3**	**5,983.1**	**101.6%**	**23.9%**	**5.0%**
გადასახადები	5,428.5	23,200.0	5,567.0	5,593.6	100.5%	24.1%	3.0%
საშემოსავლო გადასახადი	1,873.5	8,221.0	2,030.0	2,118.3	104.4%	25.8%	13.1%
მოგების გადასახადი	820.9	3,200.0	945.0	1,007.1	106.6%	31.5%	22.7%
დღგ	1,872.8	8,744.0	2,020.0	2,061.3	102.0%	23.6%	10.1%
აქციზი	490.5	2,700.0	520.0	560.0	107.7%	20.7%	14.2%
იმპორტის გადასახადი	31.3	150.0	32.0	37.7	117.9%	25.1%	20.4%
სხვა გადასახადები	339.5	185.0	20.0	-190.9	-954.3%	-103.2%	-156.2%
გრანტები	59.4	346.3	112.4	114.6	102.0%	33.1%	92.8%
სხვა შემოსავლები	212.5	1,450.0	209.9	274.9	131.0%	19.0%	29.4%
არაფინანსური აქტივების კლება	**70.6**	**200.0**	**40.0**	**65.6**	**163.9%**	**32.8%**	**-7.2%**
ფინანსური აქტივების კლება (ნაშთის გამოკლებით)	**144.4**	**500.0**	**65.0**	**75.3**	**115.8%**	**15.1%**	**-47.9%**
ვალდებულებების ზრდა	**735.7**	**5,063.1**	**1,762.7**	**1,674.8**	**95.0%**	**33.1%**	**127.7%**
საშინაო	612.9	1,800.0	231.0	210.6	91.2%	11.7%	-65.6%
საგარეო	122.8	3,263.1	1,531.7	1,464.2	95.6%	44.9%	1092.4%
გადასახდელები	**6,393.9**	**30,881.4**	**7,903.2**	**7,232.1**	**91.5%**	**23.4%**	**13.1%**
ხარჯები	**5,254.2**	**23,267.6**	**5,712.4**	**5,292.4**	**92.6%**	**22.7%**	**0.7%**
შრომის ანაზღაურება	685.7	3,420.3	821.0	775.2	94.4%	22.7%	13.0%
საქონელი და მომსახურება	521.0	2,681.5	651.0	525.4	80.7%	19.6%	0.8%
პროცენტი	542.6	1,818.0	598.8	583.0	97.4%	32.1%	7.5%
სუბსიდიები	254.7	1,047.3	267.0	254.9	95.4%	24.3%	0.1%
გრანტები	364.3	2,032.4	344.7	192.6	55.9%	9.5%	-47.1%
სოციალური უზრუნველყოფა	2,153.4	9,324.2	2,334.1	2,329.3	99.8%	25.0%	8.2%
სხვა ხარჯები	732.4	2,944.0	695.9	632.0	90.8%	21.5%	-13.7%
არაფინანსური აქტივების ზრდა	**672.6**	**4,044.0**	**702.3**	**524.1**	**74.6%**	**13.0%**	**-22.1%**
ფინანსური აქტივების ზრდა (ნაშთის გამოკლებით)	**132.8**	**650.0**	**78.7**	**36.4**	**46.3%**	**5.6%**	**-72.6%**
ვალდებულებების კლება	**334.3**	**2,919.8**	**1,409.8**	**1,379.2**	**97.8%**	**47.2%**	**312.6%**
საშინაო	10.1	40.1	10.1	10.1	100.0%	25.1%	0.1%
საგარეო	324.2	2,879.7	1,399.7	1,369.1	97.8%	47.5%	322.3%
ნაშთის ცვლილება (+ დაგროვება / - გამოყენება)	**257.2**	**-122.0**	**-146.2**	**566.8**			

* 3 თვის გეგმა წარმოდგენილია 2026 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის კვარტალური განწერის მიხედვით (ფინანსთა მინისტრის 2026 წლის 29 იანვრის ბრძანება № 30)

დანართი 2: სახელმწიფო ბიუჯეტის ბალანსი (მლნ ლარი)

დასახელება	2025 წლის 3 თვის ფაქტი	2026 წლის წლიური გეგმა	2026 წლის 3 თვის გეგმა	2026 წლის 3 თვის ფაქტი	3 თვის გეგმის შესრულების %	წლიური გეგმის შესრულების %	%-ული ცვლილება წინა წლის 3 თვის ფაქტთან
შემოსავლები	**5,700.4**	**24,996.3**	**5,889.3**	**5,983.1**	**101.6%**	**23.9%**	**5.0%**
გადასახადები	5,428.5	23,200.0	5,567.0	5,593.6	100.5%	24.1%	3.0%
გრანტები	59.4	346.3	112.4	114.6	102.0%	33.1%	92.8%
სხვა შემოსავლები	212.5	1,450.0	209.9	274.9	131.0%	19.0%	29.4%
ხარჯები	**5,254.2**	**23,267.6**	**5,712.4**	**5,292.4**	**92.6%**	**22.7%**	**0.7%**
შრომის ანაზღაურება	685.7	3,420.3	821.0	775.2	94.4%	22.7%	13.0%
საქონელი და მომსახურება	521.0	2,681.5	651.0	525.4	80.7%	19.6%	0.8%
პროცენტი	542.6	1,818.0	598.8	583.0	97.4%	32.1%	7.5%
სუბსიდიები	254.7	1,047.3	267.0	254.9	95.4%	24.3%	0.1%
გრანტები	364.3	2,032.4	344.7	192.6	55.9%	9.5%	-47.1%
სოციალური უზრუნველყოფა	2,153.4	9,324.2	2,334.1	2,329.3	99.8%	25.0%	8.2%
სხვა ხარჯები	732.4	2,944.0	695.9	632.0	90.8%	21.5%	-13.7%
საოპერაციო სალდო	**446.2**	**1,728.7**	**176.9**	**690.7**	**390.4%**	**40.0%**	**54.8%**
არაფინანსური აქტივების ცვლილება	**601.9**	**3,844.0**	**662.3**	**458.5**	**69.2%**	**11.9%**	**-23.8%**
ზრდა	672.6	4,044.0	702.3	524.1	74.6%	13.0%	-22.1%
კლება	70.6	200.0	40.0	65.6	163.9%	32.8%	-7.2%
მთლიანი სალდო	**-155.8**	**-2,115.3**	**-485.4**	**232.3**	**-47.9%**	**-11.0%**	**-249.1%**
ფინანსური აქტივების ცვლილება	**245.6**	**28.0**	**-132.4**	**527.9**	**-398.6%**	**1882.5%**	**114.9%**
ზრდა	**390.1**	**650.0**	**78.7**	**603.2**	**766.3%**	**92.8%**	**54.6%**
ვალუტა და დეპოზიტები	257.2	0.0	0.0	566.8			**120.3%**
სესხები	45.7	632.6	78.7	36.4	46.3%	5.8%	-20.3%
აქციები და სხვა კაპიტალი	87.1	17.5	0.0	0.0		0.0%	-100.0%
კლება	**144.4**	**622.0**	**211.2**	**75.3**	**35.7%**	**12.1%**	**-47.9%**
ვალუტა და დეპოზიტები	0.0	122.0	146.2	0.0	0.0%	0.0%	
სესხები	144.4	500.0	65.0	70.0	107.7%	14.0%	-51.6%
აქციები და სხვა კაპიტალი	0.0	0.0	0.0	5.3			
ვალდებულებების ცვლილება	**401.4**	**2,143.3**	**352.9**	**295.6**	**83.8%**	**13.8%**	**-26.4%**
ზრდა	**735.7**	**5,063.1**	**1,762.7**	**1,674.8**	**95.0%**	**33.1%**	**127.7%**
საშინაო	612.9	1,800.0	231.0	210.6	91.2%	11.7%	-65.6%
საგარეო	122.8	3,263.1	1,531.7	1,464.2	95.6%	44.9%	1092.4%
კლება	**334.3**	**2,919.8**	**1,409.8**	**1,379.2**	**97.8%**	**47.2%**	**312.6%**
საშინაო	10.1	40.1	10.1	10.1	100.0%	25.1%	0.1%
საგარეო	324.2	2,879.7	1,399.7	1,369.1	97.8%	47.5%	322.3%
ბალანსი	**0.0**	**0.0**	**0.0**	**0.0**			

საქართველოს პარლამენტი